| | | |
|---|---|---|
| 1 | **პროექტის მიზანი**<br><br>მედია და ინფორმაციული წიგნიერების განვითარება მოსწავლეებში | |
| 2 | **მოსალოდნელი შედეგები**<br><br>მოსწავლეები პრაქტიკაში გამოიყენებენ ცოდნას ;<br><br>გაეცნობიან აუდიოვიზუალური შეტყობინების სხვადასხვა ელემენტს;<br><br>პრაქტიკაში გამოიყენებენ ინფორმაციის დამუშავების ფორმების გამოყენების ტექნიკას;<br><br>გაიუმჯობესებენ თანამშრომლობით უნარებს, ისწავლიან სხვისი აზრის გათვალისწინებას. | |
| 3 | **საჭიროებების/პრობლემის აღწერა**<br>მოსწავლეებში სწავლის დონე დაბალია ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე. მათ აინტერესებთ ინტერნეტი, თუმცა მხოლოდ ვირტუალური თამაშებისთვის იყენებენ. ჩემი პროექტის ფარგლებში კი ისინი დაამუშავებენ სასკოლო საზოგადოების ახალ ამბებს და ვებგვერდზე ატვირთავენ.ამას ისინი ხალისით გააკეთებენ და თან მრავალი უნარი განუვითარდებათ. | |
| 4 | **რა ღონისძიებები გატარდება აღნიშნული მიზნის მისაღწევად**<br>აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩავატარებთ რამდენიმე ღონისძიებას. მოსწავლეებს ჩაუტრადებათ ტრენინგი ინფორმაციის დამუშავების ტექნიკებთან დაკავშირებით; გაეცნობიან სტატიებს და გადაცემებს, სადაც მოთხრობილია ამბები. იმუშავებს ორი ჯგუფი: ერთი ჯგუფი სტატიებს მოამზადებს სკოლაში მიმდინარე ამბების შესახებ, მეორე ჯგუფი ჩაიწერს ვიდეო/აუდიო გადაცემებს სახალისო ამბების, ისტორიები,პერსონაჟების შესახებ. | |